

მაშინ როდესაც ეკონომიკური კრიზისი ამწვავებს ქვეყნებს შორის დაძაბულობას და აჩქარებს გადაიარაღების პროცესებს, 2021 წლის მშრომელთა საერთაშორისო დღეს, დალდასმული ჭირით, სიღარიბითა და ომით, საერთაშორისო პროლეტარიატი გაერთიანებული მსოფლიოს გარშემო, ხელახლა აყენებს მომაკვდავ ბურჟუაზიულ სამყაროს თავისი გამონჯვის წინაშე: **კომუნიზმი!**

ვაქცინის სავაჭრო ომი რომელიც სახელმწიფოთა შორის გაჩაღდა, ხელს უშლის მათ კრიზისის გადაჭრაში. ეს ასევე გვაჩვენებს, რომ **კაპიტალის** რეჟიმი, დაფუძნებული მოგებასა და დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე, არის მომაკვდავი საზოგადოების რეჟიმი, რომელსაც აღარ შესწევს ცოდნისა და კეთების უნარი.

ნაცვლად მედიცინისა და ტექნოლოგიის ძალთა გაერთიანებისა საერთო მიზნისთვის, რაც შესაძლებელი მხოლოდ ისეთ საზოგადოებაშია, რომელიც გასცდა კომერციას, პანდემიამ კიდევ უფრო დიდი ბიძგი მისცა წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას ნაციონალურ ბურჟუაზიებს.

არც ერთ სახელმწიფოს უყოყმანია თავისი მშრომლების განჩრვა „ეროვნული ეკონომიკის“ დასაცავად, რაც ნიშნავს მხოლოდ ეროვნულ **კაპიტალს**, მცდელობას, რომ გამოყენებულ იქნას თავის კონკურენტებზე უპირატესობის მოპოვებისთვის.

ვაქცინები, რომლებიც უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მთელი კაცობრიობისთვის, მდიდარი ბურჟუაზიის იარაღად და დიპლომატიური ან სამხედრო სენოლის ინსტრუმენტად იქცა ნაკლებად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ღარიბ კლასთა წინააღმდეგ.

ჭარბწარმოებისგან გამონჯველი პანდემიით გამწვავებული ეკონომიკური კრიზისები, მსოფლიოს მასშტაბით უმუშევრობას იწვევს. ამ ვითარებაში, მუშათა კლასი ყველგან თავისი მდგომარეობის გაუარესებას ხედავს.

ყველა ქვეყანაში საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის განადგურება აჩქარებულია; მათი კომერციული და მცირე სამწარმოო აქტივობა შეჩერებულია მაშინ, როდესაც დიდი ბიზნესისთვის მოგებისა და შემოსავლების ზრდა გრძელდება.

საცხოვრებელ მინიმუმზე დაბალი ანაზღაურება, შრომა იმდენად ხანგრძლივი, რომ აღარ რჩება დრო სხვა ადამიანური აქტივობისთვის, შრომის უკიდურესად მზარდი ტემპი, უმუშევრობა, არამდგრადობა და დაუცველობა, პროლეტარი ქალის ორმაგი ექსპლუატაცია; ესენია ის იარაღები, რომლებსაც ისტორიის მიერ უკვე მსაჯურდებული ბურჟუაზია იყენებს ეკონომიკური პრივილეგიისთვის მუშათა კლასის წინააღმდეგ.

საერთაშორისო მასშტაბზე ამ ბურჟუაზიული თავდასხმის წინაშე, მუშათა კლასის საპასუხო ქმედება თანაბრად მტკიცე უნდა იყოს.

პლანეტის გარშემო უკვე არის მიმოფანტული რეალური კლასობრივი დაპირისპირების მცდელობები. ისინი სხვადასხვა კატეგორიაში ჩნდებიან, ხშირად იქ სადაც პროლეტარიატი ყველაზე ჩაგრულია. ეს დაპირისპირებები აჩვენებს, რომ პროლეტარულმა უმცირესობებმა იცინა თავიანთი ექსპლუატაციის შესახებ და ჯანყდებიან კაპიტალის მონობის წინააღმდეგ, მაშინაც კი თუ წარმატებით ვერ ახერხებენ სრულიად გაერთიანებასა და პროლეტართა უმრავლესობის გაძღოლას, რომლებიც ხშირად ისევ რეფორმიზმის ილუზიების ქვეშ არიან.

კაპიტალის რეჟიმი უფრო და უფრო დესპოტური და მილიტარისტული ხდება, იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებიც თავს დემოკრატიულად აცხადებენ. კანონები გაფიცვების წინააღმდეგ და კლასზე დაფუძნებული პროფ. კავშირები ყველგან ძლიერდებიან და პოპულისტური, რასისტული,

ნაციონალისტური და რელიგიური ექსტრემისტული მოძრაობები წარმოიქმნებიან, მზად ყოფნაში, რომ მხარი დაუჭირონ რეპრესიულ სახელმწიფო აპარატს წინააღმდეგ ყოველგვარი პროლეტარული აჯანყებისა.

მაგრამ პროლეტარიატს არაფერი აქვს მისაღები ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცვით, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიის დიქტატურის ნიღაბია.

პანდემიით გამწვავებული ეკონომიკური კრიზისი აისახება ქვეყნების ფინანსებზე, გადასახადებით მიღებულმა შემოსავლებმა კოლაფსი განიცადეს, ამასობაში კი კაპიტალისტების მხრიდან დამხმარე ჩარევებმა გაზარდეს სახელმწიფო ვალები.

მაშინ როდესაც დიდი ძალისხმევაა საჭირო მსოფლიოს ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებისთვის, გამოუსადეგარი საქონლის ჭარბწარმოების შესამცირებლად და იმ ბუნებრივი რესურსების დასაცავად, რომლებიც ცხოველთა და მცენარეთა ჰარმონიულ რეპროდუქციის საშუალებას იძლევიან, ცხადია, რომ არაფერი იცვლება **კაპიტალის** რეჟიმში, და ვერც შეიცვლება სოციალურ ძალთა და რესურსთა ფუნქციისთვის.

ამასობაში სწრაფად იზრდება სამხედრო ხარჯები. დიდი სახელმწიფოები, ახალი ომისთვის სამზადისში, აგრესიული ქმედებებით ცდილობენ უზრუნველყონ სტრატეგიული რეგიონებისა და ცხელი წერტილების კონტროლი. 2020 წელს, მსოფლიო სამხედრო დანახარჯმა წინა წელთან შედარებით 1.83 ტრილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა 3.9 პროცენტით.

ეკონომიკური კრიზისი არ დასრულდება პანდემიასთან ერთად და მძიმე დარტყმას მიიყენებს მუშათა და საშუალო კლასებს. მაგრამ ის ასევე წალეკავს მთელ ფინანსურ, ინდუსტრიულ და კომერციულ სექტორებს. დაძაბულება მთავარ ეკონომიკებსა და იმპერიალისტებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება: აშშ, ჩინეთი, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი...

ამ მძიმე ვითარებაში, პროლეტარიატმა – კლასი, რომელიც რეალურად და ისტორიულად ყოველთვის საერთაშორისო იყო – უკან უნდა გაიხედოს და ხელახლა აღმოაჩინოს თავისი ძლიერი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც 150 წლის წინ პარიზის კომუნით ცა შეაზანზარეს და ერთი საუკუნის წინ მსოფლიოს ყველა მმართველ კლასს შიშის ზარი დასცეს რუსეთში ძალაფულების ხელში აღებით და დიქტატურის დამყარებით.

პირველი პროლეტარული სახელმწიფო შიგნიდან განადგურდა სტალინისტური ლალატის შედეგად; ჯერ კიდევ დიდი გზაა მარცხისგან აღსადგენად, მაგრამ დრო მოვა.

პროლეტარიატი უარს იტყვის ყველა ნაციონალისტურ შეზღუდულობაზე, ყოველ ეროვნულ სოლიდარობაზე თავიანთი ბურჟუაზიის მიმართ.

უკუაგდება კლასობრივი კოლაბორაციის გზას, რომელზეც სოციალ-დემოკრატიული პარტიები და კოლაბორაციონისტული პროფ. კავშირები იწვევენ, პროლეტარიატი თავის ორგანიზაციებს გააძლიერებს მათ წინააღმდეგ: მის პროფესიულ კავშირებს, რომლებიც საჭიროა ყოველდღიური პირობების დასაცავად და მის პარტიას, აუცილებელ ორგანოს ბურჟუაზიული ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლის წარსამართად, მსოფლიო კომუნისტური რევოლუციისთვის.

საერთაშორისო კომუნისტური პარტია
international-communist-party.org